

# კარტოფილის მოყვანა : ძირითადი რეკომენდაციები

## თესლბრუნვა :

კარტოფილის თესლბრუნვა მოიცავს 4 წელიწადს

მავენებლებისა და დაავადებების (რიზოქტონია, ჩვეულებრივი ქეცი, ნემატოდები და კოლორადოს ხოჭო)



ფესვების რიზოქტონული ლპობა

ქეცი

ნემატოდი

(steptomyces)

(Globodera rostochiensis and pallida)

## განოყიერება :

ნიადაგის ანალიზი მნიშვნელოვანია რომ გავიგოთ შეტანების რაოდენობა.

მცენარეების საჭიროება

კგ/ ჰა		შესანახი კარტოფილი	თესლის კარტოფილი
აზოტი	N	160 - 180	100 - 120
ფოსფორი	P	100 -120	100 -120
კალიუმი	K	200 - 250	200 - 250

გარკვეული ნაწილი შეტანილია ნიადაგში, ხოლო დარჩენილი კი შეტანილია ნაკელის და ქიმიური სასუქების სახით.

ცხოველური სასუქი : სასუქის შეტანა

რაოდენობა	N	P2O5	K2O	MGO
30 ტონა/ჰა	32	51	213	45
40 ტონა/ჰა	42	68	284	60

## კარტოფილის თესლი:

საჭიროა უმაღლესი ხარისხი : ვირუსული დაავადებების გარეშე

არ უნდა გაცდეს 3 თაობას, შემდგომ მოსავლიანობა იკლებს, რადგანაც შეუძლებელია ვირუსის რაოდენობის კონტროლი.

თესლის წარმოების დროს უნდა მოვაცილოთ დაავადებული მცენარეები და ვაკონტროლოთ ბუგრები, რომ თავიდან ავიცილოთ შემდგომი დაინფიცირება.

თესლის რაოდენობა და ხარისხი:

თესლი უნდა შეინახოს ცივად (2 -3 ° C) და გავათბოთ დათესვის წინ

სიცივე საჭიროა სიმშვიდისათვის და სითბო ზრდის სიძლიერისა და უჯრედების საჭირო რაოდენობის მისაღებად

მნიშვნელოვანია თესლისა და საწყობის კარტოფილის განცალკევება

თესლის რაოდენობა ჰექტარზე :

ზომა	შესანახი კარტოფილი	სათესლე კარტოფილი (მეტი 20 %-ზე)
28 – 35 მმ	1 ტონა / ჰა	1,2 ტონა / ჰა
35 – 45 მმ	1,8 ტონა / ჰა	1,8 ტონა / ჰა
35 - 50 მმ	2,5 - 2,8 ტონა / ჰა	3 ტონა / ჰა
35 - 55 მმ	3 ტონა / ჰა	3,2 - 3,5 ტონა / ჰა
საშუალოდ	დამოკიდებულია ფორმაზე	დამოკიდებულია ფორმაზე

### თესვა და მიწის შემოყრა :

თესვა ხდება მშრალ და თბილ ნიადაგში, იმისათვის რომ ვეგეტაციური პროცესები დაიწყოს სწრაფად.

კარტოფილის თესლი უნდა დაითესოს 5 სმ ნიადაგის ქვემოთ.

დათესვის შემდგომ, დათესილ კარტოფილზე უნდა გაკეთდეს 10 სმ სიმაღლის პირველი მიწაყრილი.

ბოლო მიწაყრილი უნდა იყოს 15 სმ სიმაღლის, იმისათვის რომ კარტოფილი იყოს მინიმუმ 20 სმ სიმაღლის მიწით დაფარული: აღნიშნული საშუალებას იძლევა რომ კარტოფილი დავიცვათ გამწვანებისგან.

### ჰერბიციდი :

ნიადაგის ჰერბიციდები გამოიყენება სარეველების გასაკონტროლებლად, შემდეგ უნდა გაკეთდეს საბოლოო მიწაყრილი

დათესვიდან დაახლოებით 2 ან მაქსიმუმ 3 კვირის შემდეგ, კარტოფილის აღმოცენებამდე

ჰერბიციდი უნდა იქნას გამოყენებული წვიმის ან მორწყვის შემდეგ, რადგან ნიადაგის ჰერბიციდს სჭირდება ტენიანობა, რათა სრულად გააქტიურდეს.

შეაჩერეთ ნიადაგის დამუშავება ჰერბიციდის გამოყენების შემდეგ, რადგან ჰერბიციდი ქმნის გარსს ნიადაგის ზედაპირზე

ჰერბიციდის მაგალითი:

Zenkor : 0,5 - 1 კგ ჰექტარზე

Metrabuzin : 0,5 -1,2 კგ ჰექტარზე

### ფუნგიციდი:

ორი ყველაზე მნიშვნელოვანი დაავადებაა ნაცრის გამომწვევი სოკო (*phytophthora infestans*) და ალტერნარია.

რისკიდან გამომდინარე, შეარჩიეთ ტოლერანტული ჯიშები ან დაიცავით კულტურა ფუნგიციდების სამკურნალო საშუალებებით

ფუნგიციდებით მკურნალობა პრევენციული უნდა იყოს, პირველი სიმპტომების გამოვლენისას უნდა გამოიყენოთ ფუნგიციდი

პირველი მკურნალობა მნიშვნელოვანია, თუ დაავადება ნაკვეთში გაჩნდება, შეუძლებელია დაავადების კონტროლი

ფიტოფტორის ან ნაცრის გამომწვევი სოკოს სიმპტომები (*phytophthora infestans*)



ალტერნარიას სიმკვამეები :



ფუნგიციდი	რაოდენობა ლიტრი ან კგ/ჰექტარზე
Planeta	3
Ridomil Gold	2,5 - 3
Metalaksan	2,5
Bravo	2-3
Ridolet	2,5
Karmen	2,5
Cuprum MZ	1

ინსექტიციდი :

შესაძლებელია კარტოფილისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პარაზიტია კოლორადოს კარტოფილის ხოჭო

კარტოფილის თესლისთვის კი - ბუგრები

ბუგრები არის ვირუსული დაავადებების ვეგეტაციის

ვირუსული დაავადებებით დაინფიცირებული მცენარეები მნიშვნელოვნად კარგავს ხარისხს და ცუდ თესლს იძლევა



კარტოფილის კოლორადოს ხოჭო (*Leptinotarsa decemlineata*)



ბუგრები

ინსექტიციდი ლიტრი ან კგ ჰექტარზე

Confidor : 0,15

Mosetan : 0,1

Selestop : 0,8

ბუგრების ბუნებრივი მტაცებლები:



ჭიამაია



ჩუხჩუხელასებრნი (მოკლეულვაშაიანთა ქვერივი)

## შექნობა:

კარტოფილის მცენარის აღება შესაძლებელია ღეროების (თვითონ მცენარის) გადაჭრით, ან ქიმიური შექნობით (მაგალითად პრეპარატი დიქუატი) ან ორივე მეთოდის გამოყენებით როდესაც კარტოფილი **მწიფდება**, აუცილებელია ვეგეტაციური ზრდის შეჩერება:

ვეგეტაციური საფარის (კარტოფილის მცენარის) აღების შემდეგ კარტოფილი უნდა დარჩეს ნიადაგში დაახლოებით 2 ან 3 კვირის განმავლობაში.

ეს პერიოდი აუცილებელია კარტოფილისათვის, რათა მოხდეს მისი კანის ფორმირება.



კარტოფილის მცენარის მექანიკური აღება



ქიმიური შექნობა

## მოსავლის აღება და შენახვა :

კარტოფილი ინახება მშრალ და ბნელ ადგილას.

შენახვის პირველი ორი კვირის განმავლობაში საჭიროა კარგი ვენტილაცია, სითბოს და ტენიანობის გასაქრობად, რომელიც გამოიყოფა კარტოფილის მიერ სუნთქვისა და პერსპირაციის შედეგად.

შემდეგ მოდის მიძინების პერიოდი, საჭიროა ტემპერატურის თანდათანობითი შემცირება დღეში დაახლოებით  $1^{\circ}$  -ით. **ჰაერის ტემპერატურა უნდა იყოს  $2^{\circ}$  -ზე დაბალი, რომ თავიდან იქნას აცილებული დეჰიდრატაცია.**

ტემპერატურის კონტროლი და სავენტილაციო სისტემა აუცილებელია სათანადო შენახვის უზრუნველსაყოფად

კარტოფილისთვის, რომელიც განკუთვნილია ინდუსტრიისთვის (კარტოფილი ფრი ან ჩიფსი) და რომელსაც სჭირდება ხანგრძლივი შენახვა, 4 თვეზე მეტი დროით, აუცილებელია CIPC- ით (ქლორპროფამით) შეწამვლა.

**არასოდეს შეინახოთ კარტოფილის თესლი ოთახში, სადაც ჩატარებულია გაღვივების საწინააღმდეგო შეწამვლები**

შენახვის ტემპერატურა

კარტოფილის ტიპი	რეკომენდირებული რემპერატურა
თესლი	2 – 3 °C
საკვები	3 – 5 °C
კარტოფილი ფრი	6 – 7 °C
ჩიფსები	7 – 8 °C

**კარტოფილის ტესლის წარმოების მახასიათებლები**

- მცენარის სიმჭირდროვის გაზრდა
- შემამცირეთ აზოტის დოზა
- დაიცავით კულტურა ბუგრებისგან
- მოაცილეთ დაავადებული მცენარეები
- შეაჩერეთ ვეგეტაციური პროცესები შეჭკნობით



სხვადასხვა ვირუსული დაავადებები კარტოფილის თესლზე